

წინასწარმეტყველების ლოგიკა ციცერონის ტრაქტატის *De Divinatione* მიხედვით

თამარ სუხიშვილი

აქვს თუ არა წინასწარმეტყველებას ლოგიკა? – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, ორი საკითხი უნდა გავარკვიოთ:

1. რა არის წინასწარმეტყველების მოტივაცია?
2. რა საფუძველს ემყარება ფილოსოფოსთა (სტოიკოსთა) შეხედულებები წინასწარმეტყველების შესახებ? ამ საკითხს კი წინასწარმეტყველებისა და დეტერმინიზმის შესახებ ცნობილ მსჯელობამდე მივყავართ.

ანტიკურ ხანაში წინასწარმეტყველება და ბედისწერა ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ამ კავშირს მარტივი ახსნა ჰქონდა: ადამიანის ბედისწერა იყო ის, რასაც მას უწინასწარმეტყველებდნენ. მოგვიანებით ბედისწერის, დეტერმინიზმისა და წინასწარმეტყველების კავშირი უფრო მაღალ დონეზე, ფილოსოფიური თეოლოგიის ჭრილში, განიხილებოდა. როგორც ცნობილია, სტოიკოსები აღიარებდნენ და ასაბუთებდნენ წინასწარმეტყველების საჭიროებას. ბედისწერის მათეული პრინციპი უშუალოდ იყო დაკავშირებული წინასწარმეტყველებასთან [ბობოხიანი 1998:87].

წინამდებარე სტატია, ციცერონის ტრაქტატზე (*De divinatione*) („წინასწარმეტყველების შესახებ“) - დაყრდნობით, წინასწარმეტყველების საჭიროების შესახებ სტოიკოსთა არგუმენტებს და ციცერონის კონტრარგუმენტებს მიმოიხილავს. ჩვენ შევეცდებით, გავარკვიოთ, რა ლოგიკური საფუძველი უდევს სტოიკოსებისა (კვინტუსის სახით) და ახალი აკადემიის (ციცერონის სახით) მსჯელობას *divinatio*-ს (წინასწარმეტყველება, მისნობა) შესახებ.

ციცერონის ტრაქტატის – *De divinatione* შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნაწარმოებში შემონახულია ცნობები ანტიკური წინასწარმეტყველების რიტუალური პრაქტიკის შესახებ და, ასევე, წარმოდგენილია სტოიკოსთა შეხედულებები წინასწარმეტყველების თეორიის გარშემო.¹

სტოიკოსებისთვის წინასწარმეტყველება (*divinatio*) ხელოვნებაა (*ტეხნე*), ანდა მეცნიერება (*ეპისტემე*). ქრისიპოსი წინასწარმეტყველებას განმარტავდა როგორც მეცნიერებას, რომელიც ჭკრეტს და ახსნას უძებნის იმ ნიშნებს, რომლებსაც ღმერთები უგზავნიან ადამიანებს – *Chrysippus quidem divinatio-*

1 სტოიკოსთა შეხედულებები წინასწარმეტყველების პრაქტიკის შესახებ წარმოდგენილია, ასევე, ციცერონის სხვა ტრაქტატებშიც: *De fato* და *De natura deorum*.

nem definit his verbis: 'vim cognoscentem et videntem et explicantem signa, quae a dis hominibus portendantur,' (Cic. De div. II, 130). ამას ღმერთები საკუთარი კეთილი ნებით აკეთებენ და საშუალებას აძლევენ ადამიანებს, მიიღონ მომავლის შესახებ ინფორმაცია, რაც სხვაგვარად მათთვის დაფარული იქნებოდა. ამგვარად, *divinatio*-ს არსებობისათვის, სულ ცოტა, ორი პირობა არსებობს: ა) ღმერთები არსებობენ, ბ) ღმერთები ნიშანს გვიგზავნიან. ნიშნებსა და ნაწინასწარმეტყველებ მოვლენებს შორისაც გარკვეული კანონზომიერებაა: *Sed ita a principio inchoatum esse mundum, ut certis rebus certa signa praecurrerent* „სამყარო დასაბამითგან ისე იყო მოწყობილი, რომ გარკვეულ მოვლენებს გარკვეული ნიშნები უსწრებდა წინ“ (Cic. De div. I, 118). სტოიკოსთა დოქტრინა თეორემებზეა აგებული. ამ თეორემებში ფორმულირებულია ნიშანსა და მოსახდენ მოვლენას შორის კავშირის კანონზომიერება. ამას გარდა, ადრეული სტოიკოსების განმარტებით, წინასწარმეტყველება ემპირიული მეცნიერების ყველა ელემენტს შეიცავს. მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონზომიერებებისა და უნივერსალიების ცნებათა საკვანძო მნიშვნელობის მიუხედავად, ადრეული სტოიკოსების შეხედულებებში ნიშნებსა და ნაწინასწარმეტყველებ მოვლენებს შორის მიხეობორივი კავშირის არსებობაზე მინიშნება არ გვაქვს [ბოზიენი 1998:87]. და, აი, სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებით აგებს ციცერონი თავის კონტრარგუმენტებს.

ვინაიდან სტოიკოსების დეტერმინიზმის თეორია მთლიანად მომდინარეობს წინასწარმეტყველების თეორიიდან, ციცერონის კრიტიკის ობიექტი, წინასწარმეტყველების თეორიასთან ერთად, დეტერმინიზმის თეორიაც არის. ტრაქტატი „წინასწარმეტყველების შესახებ“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს ცნობებს წინასწარმეტყველების პრაქტიკის შესახებ და იმ მოსაზრებებს განიხილავს, რომლებიც ზურგს უმაგრებს ამ პრაქტიკას. მეორე ნაწილი კი აღნიშნულ მოსაზრებათა კრიტიკას ეთმობა.

ციცერონის კრიტიკული არგუმენტები, პირველ რიგში, სტოიკოსთა მსჯელობის ლოგიკის წინააღმდეგაა მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკა სტოიციზმის ფილოსოფიური დისკურსის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს², ციცერონი ამტკიცებს, რომ სტოიკოსების მიერ მოყვანილი არგუმენტები ლოგიკისგან შორს დგას, წინააღმდეგობითაა საგვს და მყარი საფუძველი არ გააჩნია. სტოიციზმის წინააღმდეგ წამოყენებულ კრიტიკულ არგუმენტებს სამი ძირითადი საყრდენი აქვს: სტოიკოსების წარმოდგენით შექმნილ სრულიად დეტერმინირებულ სამყაროში 1. ადამიანის ინიციატივამ და ქმედებამ აზრი დაკარგა, რადგანაც ყველაფერი ისე ხდე-

2 სტოიკოსების მიხედვით, ფილოსოფიური დისკურსი სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ფიზიკური, ეთიკური და ლოგიკური. სტოიკოსები ფილოსოფიას ცოცხალ ორგანიზმად განიხილავდნენ, რომელსაც ჰქონდა ხორცი (ეთიკა), სული (ფიზიკა) და ძვლები და მუცეები (ლოგიკა). ცნობილია სხვა შედარებებიც: შედარება კვერცხთან: ნაჭუჭი - ლოგიკა, ცილა - ეთიკა და გული - ფიზიკა, ანდა შედარება ნაყოფიერ მიწასთან: ღებე - ლოგიკა, ხილი - ეთიკა, მიწა და ხეები - ფიზიკა. სტოიკოსთა ერთი ჯგუფის აზრით, სამივე ელემენტს - ეთიკას, ფიზიკასა და ლოგიკას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვა ჯგუფი კი ლოგიკას პირველ ადგილზე აყენებდა, მეორე ადგილი ფიზიკას ეკავა, მესამე კი - ეთიკას... [ლონგი... 1987:158].

ბოდა, როგორც უნდა მომხდარიყო, 2. ადამიანს არაფერი ძალუძს, მასზე არაფერია დამოკიდებული, 3. პასუხისმგებლობას, ბრალდებას, დასჯას, დაჯილდოებას, გაკიცხვასა და ქებას აზრი ეკარგება [ალგრა... 1999:738].

საინტერესოა, რა მეთოდით ცდილობს ციცერონი სტოიკოსთა არგუმენტების ჯაჭვის განადგურებას. სანამ მოწინააღმდეგის მოსაზრებებს გააცამტვერებდეს, ოპონენტს აფრთხილებს: „ფრთხილად იყავი, შენივე მოტივაცია არ გააცამტვეროო“ (**Cic. De fato, 12-15**). ციცერონი საკუთარ კრიტიკას სტოიკოსების მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით აგებს. ეს სქემა ასეთია: თუ არსებობს X, მაშინ იარსებებს Y. ციცერონის აზრით, ამ დაშვებათა (X და Y) შორის შეუსაბამობაა, პირველი დაშვება არ არის ჭეშმარიტი და, შესაბამისად, ვერ გახდება მიღებული დასკვნების საფუძველი. ამას გარდა, X და Y შეუთავსებელი ჯამია. ეს მოსაზრება ნათლად არის განმარტებული ტრაქტატში **De fato** („ბედისწერის შესახებ“) ასტროლოგიური წინასწარმეტყველების თეორემის მაგალითზე: **Si quis... oriente Canicula natus est, is in mari non morietur** „ვინც სირიუსის ამოსვლის დროს დაიბადა, ის ზღვაზე არ მოკვდება“ [ბოზზიენი 1998:88, ლონგი... 1987: 232].

ციცერონი მსჯელობას ასეთნაირად ავითარებს:

„თუ მოცემული თეორემა („ვინც სირიუსის ამოსვლის დროს დაიბადა, ის ზღვაზე არ მოკვდება“) ჭეშმარიტია, მაშინ ესეც ჭეშმარიტი იქნება: თუ ფაბიუსი სირიუსის ამოსვლის დროს დაიბადა, ფაბიუსი ზღვაზე არ მოკვდება. მაგრამ ეს ორი დაშვება — ფაბიუსი სირიუსის ამოსვლის დროს დაიბადა და ფაბიუსი ზღვაზე არ მოკვდება — ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. და ვინაიდან ფაბიუსის შემთხვევა — წინაპირობა, რომ ის სირიუსის ამოსვლის დროს დაიბადა, ნამდვილია, დაშვებებს შორის შეუსაბამობა იქმნება: ერთი დაშვებაა, რომ ფაბიუსი არსებობს და მეორე კი ის, რომ ფაბიუსი ზღვაზე არ მოკვდება. კავშირი ამ ორ დაშვებას შორის შეუსაბამოა, რადგანაც მეორე დაშვება შეუძლებელია მივიჩნიოთ როგორც უკვე მომხდარი ფაქტი. აქედან გამომდინარე, ამ ორ დაშვებას შორის კავშირი შეუძლებელთა კლასს მიეკუთვნება. შესაბამისად, მცდარი წინასწარმეტყველება მომავალში ვერ აღსრულდება.“

Si enim est verum, quod ita conecitur: “Si quis oriente Canicula natus est, is in mari non morietur”, illud quoque verum est: “Si Fabius oriente Canicula natus est, Fabius in mari non morietur.” Pugnans igitur haec inter se, Fabium oriente Canicula natum esse, et Fabium in mari moriturum; et quoniam certum in Fabio ponitur, natum esse eum Canicula oriente, haec quoque pugnant, et esse Fabium, et in mari esse moriturum. Ergo haec quoque coniunctio est ex repugnantibus, “et est Fabius, et in mari Fabius morietur”, quod, ut propositum est, ne fieri quidem potest. Ergo illud, “morietur in mari Fabius”, ex eo genere est, quod fieri non potest. Omne ergo, quod falsum dicitur in futuro, id fieri non potest (Cic. De fato, VI, 12).

ანალოგიურ პრინციპზეა (თუ არსებობს X, მაშინ იარსებებს Y) აგებული წინასწარმეტყველების თეორემა, რომელიც მოცემულია ტრაქტატში – „წინასწარმეტყველების შესახებ“: ღმერთები არსებობენ, და ისინი გვაძლევენ ნიშანს, და თუ ისინი ნიშანს გვაძლევენ, არ არის მართალი, რომ ისინი არ გვაძლევენ ამ ნიშანთა ამოხსნის საიდუმლოს – მაშინ ეს ნიშნები უახრო იქნება; და რადგანაც ისინი ნიშნის ამოხსნის გზაზე მიგვითითებენ, არ არის მართალი, რომ წინასწარმეტყველება არ არსებობს; აქედან გამომდინარე, წინასწარმეტყველება არსებობს:

Sunt autem di, significant ergo; et non, si significant, nullas vias dant nobis ad significationis scientiam (frustra enim significarent); nec, si dant vias, non est divinatio; est igitur divinatio (Cic. De div. I, 83).

მოცემული თეორემა ორ მტკიცებას ემყარება: ა) თუ არსებობს წინასწარმეტყველება, არიან ღმერთებიც, და ბ) თუ არიან ღმერთები, არის წინასწარმეტყველებაც. სტოიკოსების თეორემას ციცერონი ასეთ კომენტარს უკეთებს. ის ამტკიცებს, რომ ამ თეორემაში არ გვაქვს მზა მოცემულობა: შესაძლებელია, ბუნება მომავლის მოვლენების შესახებ რაღაცას გვანიშნებდეს ღმერთების ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ანდა შესაძლებელია ღმერთები არსებობდნენ, მაგრამ არ მისცენ ადამიანებს წინასწარმეტყველების უნარი:

Arcem tu quidem Stoicorum, inquam, Quinte, defendis, siquidem ista sic reciprocantur, ut et, si divinatio sit, di sint et, si di sint, sit divinatio. Quorum neutrum tam facile quam tu arbitraris conceditur. Nam et natura significari futura sine deo possunt, et ut sint di potest fieri ut nulla ab eis divinatio generi humano tributa sit’ (Cic. De div, I, 10).

მოცემულ შემთხვევაში ციცერონი უპირისპირდება სტოიკოსების პრინციპს — დასაშვებია ისეთი მოვლენების არსებობა, რომლებიც არ მოხდება. ციცერონი საპირისპიროს ამტკიცებს: ასეთი მოვლენები დაუშვებელია [ბობზიენი 1998:144].

სწორედ აქ ეჯახება ერთმანეთს სტოიკოსებისა და ციცერონის არგუმენტების ლოგიკა. შეუძლებელია იმის თქმა, რომ სტოიკოსების მსჯელობა ლოგიკას არ მიჰყვებოდა, მაგრამ მათ საკუთარი ლოგიკური არგუმენტები ჰქონდათ. და ის განსხვავებები, რაც არსებობდა მათსა და მათ ოპონენტებს შორის, სწორედ ლოგიკის საკითხების განსხვავებული გააზრებისა და გაგების შედეგია. სტოიკოსების ლოგიკა ნიშნებთან და მათ სემანტიკასთან იყო დაკავშირებული, მათი თეორია ემყარებოდა ადამიანის სამყაროში არსებულ ნიშნებსა და ღვთაებრივ სამყაროს შორის კავშირის არსებობას. ამასთან, მათი ეთიკა ეფუძნებოდა ფორმულას: „თუ არსებობს X, მაშინ იარსებებს Y“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათთვის აპრიორულად მისაღები იყო გარკვეული მოცემულობა. აქედან გამომდინარე, სტოიციზმის ეთიკა ეწინააღმდეგებოდა ეპიკურელთა ეთიკას, ლუკრეციუსის თეზისს, რომ არაფრისგან არაფერი მოდის [ლონგი... 1987:106]. ამიტომაც ციცერონი, რომელიც გამორიცხავს

დასკვნის გამოტანას მიზეზის მოძიების გარეშე, ხშირად ავლებს პარალელს ეპიკურელთა მოძღვრებასთან და ირონიულადაც კი შენიშნავს, სტოიკოსების არგუმენტებზე ეპიკურელები სიცილით დაიხოცებოდნენო.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სტოიკოსების არგუმენტები არც ისეთი აბსურდულია, როგორც ამას ციცერონი და სხვა ოპონენტები მიიჩნევენ და ამის დასტურად სტოიკოსთა (ქრისტიანობისთვის) მტკიცების ფორმალური სტრუქტურა მოჰყავთ: უნდა დამტკიცდეს, რომ ყველაფერს ბედისწერა განაგებს. ერთ-ერთი წინაპირობა ასეთია: წინასწარმეტყველება არსებობს. მაგრამ მტკიცებისთვის ჩვენ კიდევ, სულ ცოტა, ერთი წინაპირობა გვესაჭიროება, მაგალითად, ასეთი: „თუ წინასწარმეტყველება არსებობს, ყველაფერს ბედისწერა განაგებს.“ და მაშინ ასეთი სურათი იხატება:

დაშვება 1: თუ წინასწარმეტყველება არსებობს, ყველაფერს ბედისწერა განაგებს.

დაშვება 2: წინასწარმეტყველება არსებობს.

დამტკიცება: მაშასადამე, ყველაფერს ბედისწერა განაგებს.

დასაბუთების მეთოდი ასეთნაირია: ბედისწერის პრინციპი გამომდინარეობს წინასწარმეტყველების არსებობიდან, ვინაიდან წინასწარმეტყველების შესაძლებლობისათვის ბედისწერა აუცილებელი პირობაა. ეპისტემური ტერმინებით, ბედისწერა არის წინასწარმეტყველების **ratio escendi**, მაშინ როცა წინასწარმეტყველება არის ბედისწერის **ratio cogniscendi** [ბობზინი 1998:91-92]. მკვლევართა აზრით, მთავარი შეცდომა სტოიკოსების არგუმენტაციისადმი მიდგომაა. ოპონენტები საკითხს მთლიანობაში არ განიხილავენ. როგორც წესი, ისინი უურადლებას ამახვილებენ წინასწარმეტყველებასა და ბედისწერის პრინციპს შორის კავშირზე, ხოლო სტოიკოსთა ლოგიკის, მეცნიერული წინასწარმეტყველების, ბედისწერისა და არამოტივირებული მოვლენების კონცეფციას უურადლების მიღმა ტოვებენ, არადა, ამ კონცეფციებზე დაყრდნობით, ზემოხსენებულ მტკიცებას თავისი გამართლება ეძებნება.

სწორედ ბედისწერის თეორიის გათვალისწინებით ხდება გასაგები წინასწარმეტყველების არსებობის მნიშვნელოვნება სტოიკური დისკურსის დროს. წინასწარმეტყველება იყო ის დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ზურგს უმაგრებდა სტოიკოსთა თეორიას. როგორც დიოგენე ამბობს: ბედისწერის ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი მისნობაა. თუ მისნობა აღარ იარსებებს, რაღა იქნება ბედისწერის დამამტკიცებელი საბუთი? [ლონგი... 1987:106].

ისევ ციცერონის კრიტიკულ არგუმენტებს დავუბრუნდეთ. ეს არ არის მხოლოდ სტოიკოსთა მსჯელობის კრიტიკა, ტრაქტატში ნათლად ჩანს ავტორის სკეპტიკური დამოკიდებულება საერთოდ წინასწარმეტყველების პრაქტიკის მიმართ. ციცერონი აქაც ჩვეულ, ახალი აკადემიის სტილისათვის დამახასიათებელ კრიტიკულ მეთოდს იყენებს: **Nihil ut affirmem, quae-ram omnia, dubitans plerumque et mihi ipse diffidens** „არაფერი ამტკიცო და

ყველაფერს კითხვის ნიშანი დაუსვა“ (*Cic. de div. II, 8*). კითხვები, რომლებიც ავტორს წინასწარმეტყველების პრაქტიკის მიმდევარი ხალხის (და ამ პრაქტიკის თეორეტიკოსების) მიმართ უჩნდება, მრავალგვარია: „თქვენ ფიქრობთ, რომ მისნებს უფრო დაეჯერებათ, ვიდრე ფილოსოფოსებს?“ ანდა „განა რამდენი რამ აცხადდა მისნის მიერ ნაწინასწარმეტყველები?“ — იქვე კომენტარი: „ნეტა თუ ეცინებათ მისნებს ერთმანეთის დანახვაზე?“ განსაკუთრებით საინტერესოა ეპიზოდი, სადაც ციცერონი კეისრის სიკვდილის წინასტორიას — ჰეპატოსკოპიის რიტუალს იხსენებს. ციცერონის მტკიცება მარტივ ლოგიკას ეფუძნება: როგორ ხდება, რომ ერთი ფაქტი გვესმის და მეორე არა? გვესმის, რომ ხარი გულის გარეშე ვერ იცოცხლებს, მაგრამ არ გვესმის, რომ ასევე შეუძლებელია გული სრულიად მოულოდნელად სადღაც გაუჩინარდეს. ამ ეპიზოდში ავტორი იმაზეც მიაწინებს, რომ მედიცინაში ჩახედული სტოიკოსებისგან ასეთი მტკიცება ცოტა არ იყოს სასაცილოც კია. და აქვე ცინიკურ მინიშნებას აკეთებს: „ხომ არ ფიქრობთ, რომ ხარი თავის გულს სწორედ მაშინ გამოეთხოვა, როდესაც მეწამულმოსასხამიანმა კეისარმა საკუთარი თავი დაკარგა?“

Sed affers in tauri opimi extis immolante Caesare cor non fuisse; id quia non potuerit accidere ut sine corde victima illa viveret, iudicandum esse tum interisse cor cum immolaretur. Qui fit, ut alterum intellegas, sine corde non potuisse bovem vivere, alterum non videas, cor subito non potuisse nescio quo avolare? Ego enim possum vel nescire, quae vis sit cordis ad vivendum, vel suspicari contactum aliquo morbo bovis exile et exiguum et vietum cor et dissimile cordis fuisse. Tu vero quid habes, quare putes, si paulo ante cor fuerit in tauro opimo, subito id in ipsa immolatione interisse? An quod aspexit vestitu purpureo excordem Caesarem, ipse corde privatus est? (Cic. De div. II, 37).

ციცერონის კრიტიკის სამიზნე ისევ ლოგიკაა. წინასწარმეტყველების პრაქტიკასთან დაკავშირებულ იმ პოპულარულ მოსახრებებსა და მაგალითებს, რაც ტრაქტატშია თავმოყრილი და ფართოდაა გამოყენებული კვინტუსის საუბარში, ციცერონისეული ლოგიკით დასაბუთება არა აქვს. არგუმენტაციის დროს აქაც მოქმედებს ფორმულა: თუ არსებობს X, მაშინ იარსებებს Y, სადაც X უცვლელი ჭეშმარიტებაა (რასაც ციცერონი უარყოფს). არგუმენტები, რომლებიც ხალხში წინასწარმეტყველების პრაქტიკისადმი ნდობას აღძრავს და რწმენას განამტკიცებს, ასეთია:

1. წინასწარმეტყველების ხანგრძლივი ისტორია

ტრაქტატის დასაწყისში წარმოდგენილი წინასწარმეტყველების განმარტება

Vetus opinio est iam usque ab heroicis ducta temporibus, eaque et populi Romani et omnium gentium firmata consensu, versari quandam inter homi-

nes divinationem, quam Graeci *mantiken* appellant, id est praesensionem et scientiam rerum futurarum (Cic. De div. I, 1)

არ შეიცავს საკმარის არგუმენტებს, რაც დაადასტურებდა წინასწარმეტყველების რიტუალის ხნოვანებას, მაგრამ მისი დაკავშირება მითიურ დროსთან უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანში მოწიწების გრძნობამ გაიღვიძოს. ამას გარდა, ტრაქტატში უამრავი მაგალითი იძებნება, რომლებიც წინასწარმეტყველების უძველეს წარმოშობას ამოწმებს, მაგალითად, ამბავი რომულუსისა, რომელმაც მისწვს დაუჯერა და რომი დააარსა, გაიუს გრაკუსის ცნობილი ამბავი და ა.შ. არგუმენტაცია ასეთია: სიძველე, მითიური დრო ჭეშმარიტებასა და სანდოობასაც გულისხმობს.

2. პოპულარობა

წინასწარმეტყველება უნივერსალური ფენომენია, ბევრი ხალხი იყენებს მას სახელმწიფო თუ პირადი პრობლემების მოსაგვარებლად და ძალიან პოპულარულია: **Nec unum genus est divinationis publice privatimque celebratum. Nam, ut omittam ceteros populos, noster quam multa genera complexus est!** „სხვა ხალხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენი ჩვენიანი მიმართავს წინასწარმეტყველებას“ (Cic. De div. I, 2). წინასწარმეტყველების პრაქტიკა ყვავის კარგად მართულ სახელმწიფოებში. ომში ისე არ წავლენ, თუ მსხვერპლი არ შესწირეს და შიგნეულობაზე არ იმკითხავს ბრძოლის ბედი, და მშვიდობის დროს ისე არაფერს გააკეთებენ, მისანს თუ არ ჰკითხეს რჩევა - **Nihil publice sine auspiciis nec domi nec militare gerebatur** (Cic. De div. I, 2). X-დაშვება — წინასწარმეტყველება ძალიან პოპულარულია.

3. გამოყენების სიხშირე

როგორც წესი, მნიშვნელოვანი მოვლენების, ბრძოლების და ა.შ. წინ წინასწარმეტყველებას მიმართავდნენ: **Quam vero Graecia coloniam misit in Aetoliam, Ioniam, Asiam, Siciliam, Italiam, sine Pythio aut Dodonaeo oraculo?** „განა რომელი კოლონია გაუგზავნია საბერძნეთს ეოლიაში, იონიაში, აზიაში, სიცილიასა თუ იტალიაში პითიას ან დოდონას ორაკულის რჩევის გარეშე?...“ (Cic. De div. I, 3). X-დაშვება – წინასწარმეტყველებას ხშირად იყენებენ.

4. ღირებულებები: ეფექტურობა, ესთეტიკური ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა

ტრაქტატში საუბარია იმის თაობაზე, რომ წინასწარმეტყველება მომავლის განსაზღვრის ეფექტური საშუალებაა; თანაც, პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა, მას ესთეტიკური ღირებულებაც აქვს: **Magnifica auaedam res et salutaris, si modo est ulla, quaque proxime ad deorum vim natura mortalis possit accedere** „წინასწარმეტყველება სასიამოვნო და სასარგებლო რამაა, რადგან მისი საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ მიუახლოვდნენ ღმერთების ძალაუფლებას“ (Cic. De div. I, 1). X-დაშვება – ადამიანები პატივს სცემენ წინასწარმეტყველების განსაკუთრებულ ღირებულებებს.

5. სამკურნალო დანიშნულება, კავშირი მედიცინასთან

ტრაქტატის პირველ წიგნში კვინტუსი სამკურნალო ბალახებზე საუბრის დროს ამბობს, ჩვენ ვიცით ამა თუ იმ მცენარის სამკურნალო თვისებების შესახებ, მაგრამ არ ვიცით მიზეზი, თუ რატომ აქვს ამ მცენარეებს ეს თვისებები. და აქ ის წინასწარმეტყველებასთან ავლეს პარალელს: ჩვენი ცოდნიდან და გამოცდილებიდან ვიცით, რომ წინასწარმეტყველება სასარგებლოა და მის სარგებლიანობას წინასწარმეტყველების შედეგები ადასტურებსო. X-დაშვება — წინასწარმეტყველებას სასარგებლო (სამკურნალო) შედეგი აქვს. ერთი შეხედვით, ლოგიკურ მსჯელობაში რამდენიმე წინააღმდეგობაც იკვეთება: ა) როგორც ციცერონი შენიშნავს, წინასწარმეტყველებას მართო დადებითი შედეგები კი არაა, უარყოფითი შედეგებიც მოსდევს, წარუმატებელი მისწობის მაგალითების სახით. ამიტომ დასკვნის გამოსატანად მხოლოდ დადებითი შედეგების გათვალისწინება არაა მართებული; ბ) წინასწარმეტყველება არ არის მკურნალობის იარაღი, ის უფრო დიაგნოსტიკურ პრაქტიკას ჰგავს, მაგრამ ამ შემთხვევაში წინასწარმეტყველების თეორია ერთდროულად უნდა მოიცავდეს მიზეზსაც და პროგნოზსაც; გ) წინასწარმეტყველების პრაქტიკის მეშვეობით მომავლის განჭვრეტას მეცნიერული საფუძველი არა აქვს, ასე რომ, ამ შემთხვევაში სამედიცინო პრაქტიკასთან მისი შედარება არ არის მისაღები, მიუხედავად იმისა, რომ მისნები, რიტუალის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამედიცინო ცოდნას უნდა ყოფილიყვნენ ნაზიარები.

6. ღვთის ნების ინტერპრეტაცია

როგორც უკვე აღინიშნა, წინასწარმეტყველება ღვთის ნების შეცნობაა. X-დაშვება — წინასწარმეტყველების მეშვეობით ადამიანი ღვთის ნებას შეიმეცნებს. ამით ის პოეტური ხელოვნების ნიმუშის ინტერპრეტაციას ემსგავსება. ერთი შეხედვით, ძალიან მიმზიდველი შედარებაა, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინტერპრეტაცია პოეტის აზრების ზუსტად და უცვლელად გადმოცემას არ ნიშნავს და გარკვეულ თავისუფლებასაც გულისხმობს.

რა შეიძლება ითქვას ამ არაგუმენტებიდან გამომდინარე? აღნიშნული მაგალითები და დაშვებები ციცერონისეული ლოგიკის არაგუმენტებს არ ემყარება და მიზეზს არ ეძიებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ უშლის პრაქტიკის პოპულარობას. ტრაქტატიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ წინასწარმეტყველების არსებობა იყო შედეგი ადამიანთა ცნობიერი თუ არაცნობიერი გადაწყვეტილებისა, რომელიც ასევე ადამიანთა საჭიროებებს ეფუძნებოდა. ხალხისთვის წინასწარმეტყველება მისი არსებობის აუცილებელი პირობა იყო. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს განცხადება იმის თაობაზე, რომ წინასწარმეტყველება არის *firmata consensu* „მყარად ფეხმოკიდებული“ (*Cic. De div. I, 1*). ამ პრაქტიკის მყარად ფეხმოკიდებისათვის და ადამიანში რწმენის გაღვივებისათვის არ იყო აუცილებელი დასაბუთება და ლოგიკური საფუძველი: *Veteres rerum magis eventis moniti quam ratione docti probaverunt* „კონკრეტული შედე-

გი უფრო სარწმუნო იყო, ვიდრე დასაბუთება“ (*Cic. De div. 1, 5*). ადამიანის დასარწმუნებლად მის თვალწინ მომხდარი ერთი მოვლენაც კი უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, ვიდრე მიზეზშედევობრიობის მთელი ჯაჭვი. როგორც ჩანს, პოპულარობის მიზეზიც სწორედ ეს იყო, ბრძოლაში გამარჯვების რამდენიმე მაგალითი, რომელსაც წინასწარმეტყველების რიტუალი უძღვებოდა წინ, წინასწარმეტყველების უტყუარობაში ეჭვს უკვე აღარ ბადებდა. ამ ყველაფერს ზურგს უმაგრებდა სტოიკოსთა მიერ შექმნილი თეორიული საფუძველი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ციცერონის თქმით, ლოგიკაში მოიკოჭლებდა, საესეებით საკმარისი იყო ხალხის ნდობის მოსაპოვებლად და რწმენის გასაძლიერებლად. ეს თეორია რამდენიმე ძირითად თეზისს ეფუძნებოდა:

— წინასწარმეტყველების დაკავშირება ღვთიურ ძალასთან, ადამიანის ღვთიურ ძალასთან მიახლოების სურვილი და საკუთარი თავის რწმენა: მოკვდავთ შესწევთ ღმერთებთან მიახლოების ძალა.

— წინასწარმეტყველების განსაზღვრა როგორც ხელოვნებისა (ეს არის ხელოვნება, რომელიც დედუქციური მეთოდით ეძიებს უცნობს) [ბობზინი 1998:303], რომელიც ღვთიურ ნებას შეიმეცნებს (ამგვარი განსაზღვრების მეშვეობით მისნობის პრაქტიკა განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება, მისნის ხელობა — დაფასებული. შესაძლოა, წინასწარმეტყველების ეპითეტებიც: *magnifica* („შესანიშნავი“, „ბრწყინვალე“) და *salutaris* („სასარგებლო“), - სწორედ უცნობის შემეცნების სურვილს უკავშირდებოდეს).

— წინასწარმეტყველების პრაქტიკის ხნოვანი ისტორია, წინაპართა (განსაკუთრებით, სახელოვან წინაპართა) მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, გახმაურებული წინასწარმეტყველების მაგალითები.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წინასწარმეტყველება არ განიხილებოდა როგორც მხოლოდ მომავლის ჭვრეტის საქმე, მას ერთგვარი სახელმწიფოებრივი დანიშნულებაც ჰქონდა. ეს იყო ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ელემენტი, ის სტიმული, რომელიც აძლევდა ძალას ადამიანებს, გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგათ და ყველაზე ორჭოფულ სიტუაციაშიც კი გადაწყვეტილება მიეღოთ. საყურადღებოა ისიც, რომ წინასწარმეტყველების პრაქტიკაში თავდაცვის მექანიზმიც იყო ჩადებული. ამ კუთხით უკვე ალოგიკური აღარ უნდა ჩანდეს წინასწარმეტყველების შედარება ხელოვნებასა და მედიცინასთან. ეს არის მინიშნება, რომ შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული.

წინასწარმეტყველების პოპულარობას კიდევ ერთი მარტივი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა: ადამიანის ლტოლვა რიტუალებისაკენ.

საყურადღებოა, რომ კვინტუსის მიერ წინასწარმეტყველების მხარდასაჭერად მოყვანილ არგუმენტებში მსჯელობა ღმერთების არსებობის შესახებ ეფუძნება პოსტულატს წინასწარმეტყველების არსებობის შესახებ: **Ego enim sic existimo, si sint ea genera dividandi vera, de quibus accepimus quaeque colimus, esse deos, vicissimque, si di sint, esse qui divinent.** „თუ წინასწარმეტყველების ტიპები, რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვცა და რომელთაც ახლა ვიყენებთ, ჭეშმარიტია, მაშინ ღმერთები არსებობენ და, პირიქით, თუ არი-

ან ღმერთები, ესე იგი არიან ადამიანებიც, რომელთაც აქვთ წინასწარმეტყველების უნარი“ (**Cic. De div. I, 9**). ამ ეპიზოდზე ციცირონიც ამახვილებს ყურადღებას და ლოგიკურ კითხვასაც სვამს: ესე იგი, ძალიან ხშირად ადამიანები რიტუალის მხოლოდ გარეგნულ მხარეს აქცევენ ყურადღებას, და არა მის არსს.

წინასწარმეტყველების უსარგებლობის დასამტკიცებლად ციცირონს შემდეგი ძირითადი არგუმენტები მოჰყავს:

1. იქ, სადაც შემეცნებით მიღწეული ცოდნაა, წინასწარმეტყველებას ადგილი არა აქვს;
2. მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში არ არის წინასწარმეტყველების საჭიროება;
3. ფილოსოფიური საკითხები ვერ გადაწყდება წინასწარმეტყველების პრაქტიკით;
4. წინასწარმეტყველებით შეუძლებელია მოაგვარო ურთიერთობა მშობლებთან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან;
5. წინასწარმეტყველება ვერ გაცემს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ უნდა განაგო შენი ქონება, სახლი, ძალაუფლება;
6. დიალექტიკისა და ფიზიკის საკითხებს წინასწარმეტყველებით ვერ გადაჭრი;
7. წინასწარმეტყველება უსარგებლოა სახელმწიფოს მართვის საქმეში.

ამგვარად, — დაასკვნის ციცირონი, — წინასწარმეტყველების საჭიროებაც არ არსებობს (**Cic. De div. II, 10-12**).

თუმცა, ამის მიუხედავად, ფაქტები უფრო ძლიერია, ვიდრე ციცირონის არგუმენტები. ხალხს მაინც სჯერა და სწამს წინასწარმეტყველების, აქედან გამომდინარე, მისი არსებობაც გამართლებულია. ეს ციცირონმაც კარგად იცის და ტრაქტატის პირველ ნაწილშივე, კვინტუსის სიტყვებით, გვძლევს ამის ახსნას: **Quid fissum in extis, quid fibra valeat, accipio; quae causa sit, nescio. Atque horum quidem plena vita est; extis enim omnes fere utuntur** „ჩემთვის მისაღებია მნიშვნელობა. მიზეზი არ ვიცი. და ბევრი ადამიანია ჩემნაირ სიტუაციაში, თითქმის ყველა იყენებს შიგნეულობას წინასწარმეტყველებისთვის“ (**Cic. De div. I, 16**). ვფიქრობთ, ეს მონაკვეთი ცხადად განმარტავს წინასწარმეტყველების ფენომენის არსს: წინასწარმეტყველების პრაქტიკა ისეა გამჯდარი კულტურასა და ყოველდღიურ ყოფაში, რომ ადამიანებს მის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენიათ. მისნობის მეშვეობით მომავლის განჭვრეტა მათი კულტურის, ყოფისა და წეს-ჩვეულებების ნაწილი გამხდარა და აზრადაც არავის მოსდის მიზეზთა ძიება.

ციცირონი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რაციონალურ გადაწყვეტილებას იღებს: თუ ხალხს წინასწარმეტყველება სჭირდება, მაშინ ის სახელმწიფოსაც უნდა სჭირდებოდეს. როგორც ჩანს, ის ცდილობდა წინასწარმეტყველების პრაქტიკისთვის დიდი მიზანი მოეძებნა. ეს დიდი მიზანი კი სახელმწიფოებრივი საჭიროება იყო: წინასწარმეტყველება როგორც დემოკრატიის ძალაუფლების გადამეტების კონტროლის საუკეთესო საშუალება [ფალკონერი 2001:216].

დამოწმებანი

Cicero, De divinatione: Cicero, *De senectute. De amicitia. De divinatione. The Loeb Classical Library, with an English Translation and Introduction by W. A. Falconer*, Harvard University Press, 2001.

ალგრა... 1999: Keimpe Algra, Jonathan Barnes, Jaap Mansfeld, Malcolm Schofield. *The Cambridge History of the Hellenistic Philosophy*, 1999.

ბობზიენი 1998: S. Bobzien, *Determinism and Freedom in Stoic Philosophy*, Oxford, 1998.

ლონგი... 1987: A.A. Long, D.N. Sedley. *The Hellenistic Philosophers, vol. 1. Translations of the Principal Sources with Philosophical Commentary*, Cambridge, 1987.

ფალკონერი 2001: Cicero, *De senectute. De amicitia. De divinatione. The Loeb Classical Library, with an English Translation and Introduction by W. A. Falconer*, Harvard University Press, 2001.

Logic of Divination on the Evidence of *De divinatione* by Cicero

Tamar Sukhishvili

This paper demonstrates the logical basis of the philosophic opinions of the Stoics and New Academy on divination; it focuses on the essence and needs assessment of divination phenomenon in general. Cicero's treatise has been studied for the following reasons: it provides valuable information not only about the ancient practice of divination but also the Stoic divination theory. The paper discusses both the arguments that back up divination practice and the counter arguments based on the logical ground. Though the popular arguments supporting divination are hardly convincing and in Cicero's opinion have no logical proof, divination remains to be a very popular phenomenon. It is noteworthy that in his discourse Cicero concentrates on the scheme suggested by the Stoics: if x ... then y . According to him there is a conflict between these propositions (x and y), where the first proposition is not a true conditional and thus could not be the basis for the following conclusions. Thus, the opinions of Cicero and the Stoics clash over the issues of logic which lead to the differences in argumentation.

On the evidence of the treatise it might be concluded that there were several reasons that strengthened the belief in divination and increased its popularity: human desire for divine power perception, identification of divination as an art, long history of divination practice and simply inclination towards rituals. These reasons seemed to be stronger than logical arguments. And though Cicero succeeds in disputing the theories of his opponents with logic and a fair measure of irony, as a public figure he adopts a rational decision, he tries to find a goal for the divination practice and accepts the importance of divination practice for public uses.